

ორბელიანის მოედანი  
ისტორიული განვითარება და კონცეფტუალური ხედვა

ელენე ედიშერაშვილი

*სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბიზნესის, ტექნოლოგიების და განათლების ფაკულტეტზე ელენე ედიშერაშვილისთვის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე ბერეჩიკიძე, არქიტექტურის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023



**ფოტო: დიმიტრი ერმაკოვის**  
სალდათის მოედანი  
(დღევანდელი ორბელიანის ბაღის ტერიტორიაზე)  
1880-ანი წლები

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული, სათანადო წესების შესაბამისად.

ელენე ედიშერაშვილი

20.01.2023

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ორბელიანის მოედნისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ისტორიულ კვლევას და მის ურბანულ და არქიტექტურულ დაგეგმარებას მოიცავს. ნაშრომის მიზანია, კვლევაზე დაყრდნობით განახორციელოს ურბანული სივრცის არქიტექტურული რეკონსტრუქცია.

ორბელიანის მოედნის რეკონსტრუქცია დასრულებულია, ვეცადე კრიტიკულად შემეხედა მოცემულობისთვის და მსოფლიოში არსებულ მსგავს წარმატებულ მაგალითებთან გამეგლო პარალელები. არქიტექტურული პროექტი მოიცავს: მოედანს, რომელზეც განთავსებულია ბაზარი, ყვავილების პავილიონი, საჯარო საპირფარეშო და მოედნის ადმინისტრაციული ნაწილი.

აღნიშნული კვლევა ეფუძნება სხვადასხვა პერიოდის რუკების, შენობების და ძველი თბილისის ისტორიის შესწავლას და ანალიზს. კვლევის შედეგები გამოყენებულია შემაჯამებელი პროექტის ურბანულ და სივრცით დაგეგმარებაში.

პროექტი ეფუძნება მდგრად მიმართებებს და წარმოადგენს ორბელიანის მოედნის და მის გარშემო არსებული კონტექსტის და კლიმატის ანალიზს. კვლევისას შევისწავლი ამ პროექტის ეკომეგობრულობისა და ენერგოეფექტურობის საკითხებს, კლიმატის კომპონენტებისა და პასიური ენერჯის ათვისების ეფექტურობას და ოპტიმიზაციის საშუალებებს.

აღნიშნული გარემოსდაცვითი დიზაინი და მდგრადი მიმართებები უსახობს გლობალური დათბობის გამოწვევას და პოზიტიურად აისახება მოედანზე არსებული შენობების და ტერიტორიის კომფორტსა და სწორად ფუნქციონირებაზე.

**საძიებო სიტყვები:** ძველი თბილისი, ტრადიცია, კულტურა, ორბელიანის მოედანი, ბაზარი, მოედანი, არქიტექტურა, საჯარო სივრცე, ურბანული კონტექსტი, მდგრადობა.

## **Abstract**

The following thesis covers historical research, as well as the urban and architectural planning of Orbeliani Square and the area surrounding it. The aim of this work is to apply the architectural reconstruction of this urban space on the basis of research.

Since the reconstruction of Orbeliani Square has been completed, I attempted to look at the existing area through a critical lens and draw parallels with similar, albeit successful, examples in the world. The architectural project includes: a square occupied by a market, a flower pavilion, a public restroom, and the administrative part of the square.

Research conducted as part of the thesis is based on the study and analysis of maps, buildings, and the history of Old Tbilisi over different periods. The results of the research have been used in the urban and spatial planning of the project.

The architectural project is based on sustainable practices and represents a contextual and climate analysis of Orbeliani Square and its surroundings. As part of my research, I studied the eco-friendliness and energy efficiency of the project, as well as the effectiveness of other climate components, passive energy solutions for its optimization.

The aforementioned environmentally-conscious and sustainable design responds to the challenges of climate change and has a positive impact on the comfort and proper functioning of the buildings and the area of the square.

**Search words:** Old Tbilisi, Orbeliani Square, tradition, culture, market, square, architecture, public space, urban context, sustainability.

## მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს, სალომე ბერეჩიკიძეს, რომელიც ერთი წლის განმავლობაში მამხნევებდა და დაუზარებლად მეხმარებოდა კვლევისა და პროექტის სწორად წარმართვაში, მაძლევდა სწორ მიმართულებებს და შენიშვნებს პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე; მას ყოველთვის შეეძლო ეპასუხა ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებულ ჩემს გაუთავებელ კითხვებზე.

ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო ვატო ზესაშვილს, რომელმაც მასწავლა 3D პროგრამა რაინო (Rhino) და სწავლისას დამეხმარა ჩემი პროექტის 3D მოდელის შექმნაში. მისმა რჩევებმა სივრცითი გეგმარების საკითხებზე დიდი გავლენა იქონია ჩემს საბოლოო ნამუშევარზე.

მადლობას ვუხდით ჩემს ლექტორებს - შიო დემეტრაშვილს და ნანო ზაზანაშვილს, რომლებმაც თბილისის მაგალითზე მასწავლეს ისტორიული ქალაქების კვლევის პრინციპები.

მადლობა ჩემს კურსელებს: სალომე სვიანიძეს, ანანო კვაჭანტირაძეს, ანი გოგლიძეს, მიხეილ მაღლაკელიძეს და მარი ზურაბიშვილს, რომლებიც სწავლის ბოლომდე გვერდში მედგნენ და მამხნევებდნენ.

მადლობა ჩემს ნიკუს და ოჯახის წევრებს მუდმივად გვერდში დგომისთვის.